

სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული
ჯგუფებით (DRG) დაფინანსების მეთოდის არსი და პრაქტიკული
ასპექტები ქართულ რეალობაში

თამთა ანთია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ჯანდაცვის მენეჯმენტი

სამეცნიერი ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ფრუიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა ანთია

15. 06. 2023 წელი

აბსტრაქტი

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 2022 წლის პირველი ნოემბრიდან ქართულ ჯანდაცვის სისტემაში განხორციელდა ძალიან სერიოზული ცვლილება, რომელიც გულისხმობს სტაციონარული სამედიცინო მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების სისტემის ამოქმედებას.

მოცემული ნაშრომი გამოკვეთს ზოგადად DRG დაფინანსების სისტემის ძირითად არსს, რადგან აღნიშნულის წარმოჩინების გარეშე შეუძლებელია შემდგომ საკითხებზე მსჯელობა. ასევე, მიმოიხილავს იმ ძირითად ასპექტებს, რა ცვლილებებიც დადგა ქართულ რეალობაში სტაციონარის დაფინანსების მიმართულებით 2022 წლის პირველი ნოემბრიდან. კერძოდ, გაუძვირდა თუ გაუიაფდა შესაბამის სეგმენტს სამედიცინო მომსახურება - როგორ შეიცვალა პროცენტული თანაგადახდა; რა სახის გავლენას ახდენს უშუალოდ სამედიცინო დაწესებულებებზე ახალი სისტემა - შეესაბამება თუ არა ამა თუ იმ გასაწევი სამედიცინო მომსახურების რეალური თვითღირებულება იმ თანხას, რამდენადაც DRG მეთოდი კონკრეტული მომსახურების ღირებულებას განსაზღვრავს? ასევე, საინტერესო მიმართულებაა ამ პროცესის უშუალო ადმინისტრირება სახელმწიფოს მხრიდან. კერძოდ, სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ, რადგან შესაძლოა კონკრეტული მოდელი არსობრივად იყოს მისაღები, თუმცა გაუმართავმა ადმინისტრირებამ შეაფერხოს მისი წარმატებულობა.

რამდენადაც საქართველოსთვის საკითხი არის უახლესი, აღნიშნული მოცემულობა კვლევის მეთოდოლოგიაზეც ახდენს გავლენას. ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს უშუალოდ DRG დაფინანსების სისტემაზე ეროვნული ლიტერატურა, შესაბამისად, სამაგიდო კვლევის ნაწილში აქტიურადაა გამოყენებული ჯანდაცვის პოლიტიკის და მენეჯმენტის მარეგულირებელი, საკითხთან არსებითად დაკავშირებული მასალა, რადგან, იდეაში, სწორედ მათი მეშვეობითაა შესაძლებელი გამოიკვეთოს და დადგინდეს ამა თუ იმ მეთოდის დოგმატური მართებულობა. ასევე, გაანალიზებულია არსებული საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით.

ამასთან, კონკრეტული კლინიკის პაციენტთა მაგალითზე ჩატარებულია კვლევა - 2022 წლის ნოემბრამდე მეტად იყო ხელმისაწვდომი მათთვის სტაციონარული მომსახურება თუ 2022 წლის ნოემბრის შემდგომ. გარდა ზემოხსენებულისა, დადგინდა თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ იმ ფაქტისადმი, რომ DRG - ით სტაციონარული მომსახურების დაფინანსების სისტემის ამოქმედების შემდგომ გადაუდებელ რეჟიმში შეყვანილმა, სტაციონარიზებულმა პაციენტმა გაწერის დღემდე არ იცის მის მიერ გადასახდელი თანხის ზუსტი ოდენობა.

კერძოდ, კვლევა ჩატარდა სს „ვექსის ჰოსპიტლები“ - ივანე ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში, 2023 წლის 20 აპრილიდან 2023 წლის 20 მაისის ჩათვლით პერიოდში.¹

როგორც სამაგიდე, ასევე კონკრეტულ პაციენტებთან ჩატარებული კვლევისას გამოკვეთილი შედეგები ძალიან საინტერესო და საყურადღებოა. ნაშრომის მომდევნო თავებში ცალსახად გამოჩნდება რომ მიუხედავად DRG მეთოდის არსობრივი მიზანშეწონილობისა, საქართველოში მისი პრაქტიკული რეალიზება ამ ეტაპზე საკმაოდ ხარვეზიანია და საჭიროებს ძირეულ დახვეწას. ცხადია, ის მოცემულობაც მხედველობაშია მისაღები, რომ იგი სულ რამდენიმე თვის ამოქმედებულია, შესაბამისად, რეალურად ჯერაც ე.წ. „სატესტო რეჟიმშია“.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: სტაციონარული მომსახურება; დაფინანსების მეთოდი; DRG სისტემა; ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები; სახელმწიფო ადმინისტრირება.

¹კვლევის ავტორი წარმოადგენს ამავე დაწესებულების თანამშრომელს, შესაბამისად, მონაცემები იყო მარტივად ხელმისაწვდომი და დასამუშავებელი.

Abstract

It is a well-known fact that since November 1, 2022, a very serious change has been implemented in Georgian health care system, which implies launching of a financing system for inpatient medical services with diagnostic groups (DRG).

This work outlines the main essence of the DRG financing system in general, because without revealing it, it is impossible to discuss further issues. Also, it reviews the main aspects of the changes that have taken place in the Georgian reality in hospital financing since November 1, 2022.

In particular, if medical services become more expensive or cheaper for a particular segment - how did the percentage co-payment change; what kind of impact does the new system directly have on medical institutions - does the real cost of particular medical service to be provided correspond to the amount, which the DRG method determines the cost of a specific service? Also, the direct administration of this process by the state is an interesting direction. In particular, by the National Health Agency. As a particular model may be widely acceptable, but poor administration may hinder its success.

Since the issue is the newest for Georgia, the above-mentioned situation also affects the research methodology. In fact, there is no national literature directly on the DRG financing system in the country, therefore, in the desk research part, the material related to the regulation of healthcare policy and management, essentially related to the issue, is actively used, because, in theory, it is through them that it is possible to outline and determine the dogmatic validity of various methods. Also, the existing legal base is analyzed, including using the comparative legal method.

In addition, a study was conducted on the example of patients of a specific clinic - whether inpatient services were more available for them before November 2022 than after November 2022. Also, it was determined what their attitude was to the fact that after the implementation of the inpatient service financing system with DRG, the hospitalized patient does not know the exact amount of the amount to be paid by him until the day of discharge?

In particular, the study was conducted in Ivane Bokeria University Hospital of the JSC "Evex Hospitals", from April 20, 2023 till May 20, 2023.²

The results of both desk and specific patient studies are very interesting and noteworthy. In the following chapters of the work, it will be clearly seen that despite the essential feasibility of the DRG method, its practical implementation in Georgia at this stage is quite flawed and needs fundamental refinement. Obviously, it is also acceptable to take into account the fact that it has been implemented for only a few months, therefore, in reality, the so-called it is in „test mode”.

Main thematic search words: stationary services; financing method; DRG system; state health care programs; state administration.

² The author of the study is an employee of the same institution; therefore, the data was easily accessible and processable.